

რეკომენდაცია

სექსუალური შევიწროებით გამოხატული

სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

N6420/18

1. ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 24 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ლ. გ. (შემდგომში განმცხადებელი), რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიის ერთ-ერთი დირექტორის, მ. ჩ.-ს (შემდგომში მოპასუხე) მხრიდან, გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი. განმცხადებლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში ა(ა)იპ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ნინო ქათამაძეს წარმოადგენს. ხოლო, მოპასუხის ინტერესებს ადვოკატი ივანე პეტრიაშვილი იცავს.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია მოპასუხე მხარისგან, შედგა პირადი გასაუბრება განმცხადებელთან და მესამე პირებთან. მოპასუხემ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან პირადად გასაუბრებაზე უარი თქვა და აპარატში მოსვლისას მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება ჩაიბარა.

განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა აუდიო ჩანაწერები. ყველა ჩანაწერის ავთენტურობა, რომელთა შინაარსიც ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილებაში, დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ხუთივე ფონოგრამაზე საუბრები მიმდინარეობს ქართულ ენაზე და მათი ხარისხი, მოსმენის თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებელია.¹

1.1. განმცხადებლის პოზიცია

ლ. გ. 2017 წლის 30 ოქტომბრიდან გადიოდა სტაჟირებას კომპანიაში. მის სამუშაო ადგილად განსაზღვრული იყო კომპანიის ერთ-ერთი კორპორატიული კლიენტის, შპს „მ. დ.“-ს ოფისი. განმცხადებლის მოვალეობას ხელშეკრულებების მომზადება, კონსულტაციებისა და სხვა იურიდიული საკითხების მოგვარება წარმოადგენდა. ასევე, ვინაიდან, შპს „მ. დ.“-ს ხელმძღვანელსა და კომპანიის იურისტებს შეხვედრებისას ესაჭიროებოდათ სამართლებრივი საკითხების ინგლისურ ენაზე გაცნობა, ხოლო, ლ. გ. კარგად ფლობს ინგლისურ ენას, ისიც ესწრებოდა შეხვედრებს და ითავსებდა თარჯიმნის ფუნქციებს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ხშირად შეხვედრები კომპანიის ოფისში სამუშაო საათების დასრულების შემდეგ იმართებოდა და გრძელდებოდა ღამის საათებშიც.

ლ. გ. იხსენებს, რომ 2018 წლის 10 მარტს, არასამუშაო დღეს 13:00 საათზე მივიდა შეხვედრაზე კომპანიის ოფისში, რომელზეც გარკვეული აქტივობების დაგეგმვა იყო საჭირო. შეხვედრას ესწრებოდნენ კომპანიის ადვოკატები გ. მ. და მ. ჩ., შპს „მ. დ.“-ს ხელმძღვანელი მ. ჩა., ამავე კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი მ. ვ. და თავად განმცხადებელი. განმცხადებლის მითითებით, შეხვედრაზე დამსწრე პირები სვამდნენ ვისკის, რომელიც მასაც შესთავაზეს, თუმცა უარი უთხრა. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ლ. გ. და მ. ჩ.-ს იმავე დღეს, უნდა მოემზადებინათ ჟურნალისტებისთვის გასაგზავნი მასალა კომპანიის საქმესთან დაკავშირებით.

15:30 საათზე ლ. გ. მისი ნათესავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პირად საქმეზე გავიდა ოფისიდან და დაახლოებით 17:00 საათზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით შეუთანხმდა მ. ჩ.-ს რომ დოკუმენტის მოსამზადებლად დაბრუნდებოდა ოფისში.² ლ. გ. 18:00 საათზე დაბრუნდა ოფისში, სადაც მ. ჩ. მარტო დახვდა. ცოტა ხნის შემდგომ, მოპასუხემ განმცხადებელი მის მიერ დალაგებული სამზარეულოს სანახავად გაიყვანა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ სამზარეულოში მ. ჩ.-მ მას ვისკით სავსე ჭიქა მიაწოდა და უთხრა, რომ ეს ის ჭიქა იყო, რომელიც შეხვედრის დროს არ დალია და ახლა უნდა დაელია, რათა აღენიშნათ განმცხადებლის ნათესავის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. განმცხადებლის მითითებით, სამზარეულოდან გამოსვლის შემდეგ, მ. ჩ.-მ მას უთხრა დამჯდარიყო სამუშაო მაგიდასთან, თავად კი კარს ჩაკეტავდა. განმცხადებელს ეს უცნაურად მოეჩვენა, ვინაიდან,

¹ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 17 მაისის ექსპერტის დასკვნა N003262519; ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი კითხვები: 1. აუდიო ჩანაწერის ავთენტურობის დადასტურება; 2. აუდიო ჩანაწერზე მონტაჟის ფაქტის არსებობის ან მისი უარყოფის დადასტურება; 3. აუდიო ჩანაწერის გაკეთების თარიღთან დაკავშირებით ინფორმაციის დადასტურება.

² აღნიშნული მიმოწერის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია სახალხო დამცველის აპარატში.

კარს არასდროს კეტავდნენ. მუშაობის დაწყებამდე მ. რ.-მ კიდევ ერთხელ შესთავაზა ალკოჰოლური სასმელი, რათა ლ. გ.-ს ნათესავის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება აღნიშნათ, რაზეც ლ. გ.-მ უარი უთხრა, რადგან მშვიერი იყო და ვისკი მასზე ცუდად იმოქმედებდა, თუმცა, ვინაიდან მაინც მოპასუხე დაჟინებით სთხოვდა დალევას, ჩათვალა რომ "ხვეწნა-მუდარას" სჯობდა ერთი ჭიქა დაეღია, რათა მ. რ.-ს მისთვის თავი დაენებებინა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შეიქმნა ფამილარული გარემო, მ. რ.-მ უთხრა, რომ მისი სახით ჰყავდა დიდი მეგობარი, შემდგომ კიდევ დაუსხა ვისკი და შესთავაზა მეგობრობის სადღეგრძელო დაეღიათ. აღნიშნულზე ლ. გ.-მ ისევ უთხრა რომ ალკოჰოლი მასზე ცუდად მოქმედებდა, რაზეც მ. რ.-მ უპასუხა რომ სხვასთან არ უნდა დაეღია, თორემ მასთან არ იყო პრობლემა - ის მოუვლიდა. ამის შემდეგ, მ. რ.-მ აღნიშნა, რომ *ბოთლი იცლებოდა და ბარემ ეს ერთი ჭიქაც დაეღიათ*. ლ. გ. იხსენებს, რომ დათანხმდა კიდევ ერთი ჭიქის დალევას, რადგან ჩათვალა, რომ ვინაიდან მეტი ვისკი აღარ იყო, დალევას აღარ დააძალებდა. მეგობრობის სადღეგრძელოს დალევის შემდეგ მ. რ. მეგობრულად ჩაეხუტა და აკოცა, რაც განმცხადებლის თქმით, ცუდ ტონად არ ჩაუთვლია, რადგან მ. რ. მანამდე ყოველთვის მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მის მიმართ. ლ. გ. იხსენებს, რომ შემდეგ მ. რ. გავიდა სხვა ოთახში და გამოიტანა ვისკის ახალი ბოთლი და უთხრა, რომ მას ვისკის მარაგი არასოდეს ამოეწურებოდა, რადგან ხშირად ჩუქნიდნენ კლიენტები. მ. რ.-მ კვლად შეავსო ჭიქები და მიუბრუნდნენ სამუშაოს. ორი ჭიქის დალევის შემდეგ, როგორც განმცხადებელი მიუთითებს, თავი არაკომფორტულად იგრძნო. განმცხადებელი ასევე იხსენებს, რომ პარალელურად აგრძელებდნენ დოკუმენტზე მუშაობას. ამ დროს, მ. რ. უსვამდა კითხვებს მის სამსახურში აყვანასთან დაკავშირებით და უთხრა, რომ გასაუბრების შემდეგ, კომპანიის ხელმძღვანელ პირებს ურჩია მასზე გაეკეთებინათ არჩევანი. მ. რ.-მ გაიხსენა ფრაზა, რომელიც მისი თქმით, ლ. გ.-ს თაობაზე კომპანიის ხელმძღვანელ პირებს უთხრა: **„ის ლამაზი გოგო, თუ ჭკვიანიც არის...“** აღნიშნულზე განმცხადებელმა უთხრა, რომ მის კანდიდატურაზე არჩევანი იმიტომ შეაჩერეს, რომ კარგად იცის ინგლისური და სილამაზეს არ აქვს კავშირი მის პროფესიასა და დასაქმებასთან, რაზეც მ. რ.-მ უთხრა, რომ სათანადოდ ვერ აფასებდა საკუთარ თავს. ამის შემდეგ, განმცხადებელი იხსენებს, რომ მ. რ.-მ გაიყვანა სააბაზანო ოთახში, სარკეში ჩაახედა და უთხრა, რომ საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებდა, ვინაიდან, **სარკეში ჩანდა ლამაზი გოგო, რომლისაც აქვს ლამაზი თვალები, წარბები, ტუჩები, კბილები და ლამაზი ძუძუს თავები**. აქვე დაამატა, რომ **მართალია, მას [მოპასუხეს] არ უნახავს, თუმცა, თავად ლ. გ.-ს ხომ ჰქონდა ნანახი**. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, შექმნილი გარემო მისთვის მოულოდნელი და მიუღებელი იყო, თუმცა, არ იცოდა რა ეპასუხა, ამიტომ, შესთავაზა, გაეგრძელებინათ მუშაობა.

განმცხადებელი იხსენებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შემდეგ, ოფისში დამლაგებლები მოვიდნენ. ვინაიდან, ლ. გ.-მ ალკოჰოლის ზემოქმედების გამო, თავი შეუძლოდ იგრძნო, სამზარეულოში გავიდა ყავის მოსამზადებლად. დამლაგებლების წასვლის შემდეგ ოფისის კარი ლ. გ.-მ ისევ ჩაკეტა. დაბრუნებულს ლ. გ.-მ უთხრა, რომ თავს კარგად არ გრძნობდა, რის შემდეგაც მ. რ.-მ შესთავაზა დაესვენა ოფისის ჰოლში. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ **გასვლის**

დროს მ. ჩ.-მ ძლიერად მოჰკიდა ხელი და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აკოცა. ლ. გ. ამბობს, რომ მ. ჩ.-ს შეეწინააღმდეგა და სთხოვა შეეწყვიტა აღნიშნული ქმედებები, რაზეც მოპასუხემ უთხრა, რომ შიშის საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან, ამის შესახებ ვერავინ გაიგებდა.

განმცხადებელი იხსენებს, რომ დივანზე წამოჯდა, რის შემდეგაც, მ. ჩ. გვერდით მიუჯდა, ჩაისვა კალთაში, ხელით ეხებოდა სხეულზე, მათ შორის სასქესო ორგანოზე, გაუხსნა კაბის ღილები, ევერებოდა და კოცნიდა მკერდზე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ლ. გ.-მ თავი შეუძლოდ იგრძნო. როდესაც ეს მ. ჩ.-მ შენიშნა, შესთავაზა სავარძელზე წამოწოლილიყო, რაც დაეხმარებოდა მდგომარეობიდან გამოსვლაში. ლ. გ. აღნიშნავს, რომ იმყოფებოდა შოკურ მდგომარეობაში, ეშინოდა მ. ჩ.-ს და უნდოდა მალე დაეტოვებინა ოფისი. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ მ. ჩ. მას ეუბნებოდა, არაფრის შეშინებოდა, ოფისში ვიდუო კამერები არ იყო დამონტაჟებული, მას ბევრჯერ ჰქონდა გადამოწმებული. ამის შემდეგ, ლ. გ. იხსენებს, რომ გაიგო ქამრის და ელვაშესაკრავის შეხსნის ხმა. ეშინოდა თვალების გახელის, თუმცა, მარჯვენა ხელზე იგრძნო რბილი სხეულის შეხება, რომელიც ჩათვალა, რომ მ. ჩ.-ს სასქესო ორგანო უნდა ყოფილიყო. ლ. გ. მიუთითებს, რომ როდესაც მ. ჩ.-მ გაიაზრა, რომ იგი თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, გავიდა სააბაზანო ოთახში. განმცხადებელი მიუთითებს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში, ხოლო როცა თვალი გაახილა და შეძლო წამოდგომა, მ. ჩ. უკვე კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. ლ. გ.-მ ჰკითხა, დაასრულა თუ არა მუშაობა, რაზეც უთხრა, რომ დაასრულა და ელექტრონულ ფოსტაზე გადაუგზავნა. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მათ დატოვეს ოფისი და მ. ჩ.-მ განმცხადებელი მანქანით სახლამდე მიიყვანა.

აღნიშნული ინციდენტიდან მეორე დღეს, მ. ჩ.-მ დაურეკა განმცხადებელს და მოიკითხა მისი ნათესავის ჯანმრთელობის მდგომარეობა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მოპასუხეს წინა დღის მოვლენებთან დაკავშირებით არაფერი უხსენებია. ამასთან, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იმყოფებოდა საავადმყოფოში, ნათესავების გარემოცვაში და არც თვითონ უთქვამს რაიმე წინა დღეს მომხდარის შესახებ.

ლ. გ. იხსენებს, რომ მომდევნო სამუშაო დღეს, ორშაბათს საქმესთან დაკავშირებით გეგმავდნენ გარკვეულ აქტივობას, ამიტომ „მ. დ.“-ს ოფისში აუცილებლად უნდა მისულიყო. მ. ჩ.-მ მისვლამდე მისწერა, რომ მათ მიერ დაწერილი დოკუმენტი ამოებქდა ჟურნალისტებისთვის.³ განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისთვის აუტანელი იყო კომპანიაში მუშაობა, ამიტომ გადაწყვიტა, იმავე დღეს წასულიყო სამსახურიდან. როდესაც სამუშაოსთან დაკავშირებული აქტივობა დასრულდა, განმცხადებელი კომპანიის ოფისში წავიდა. ლ. გ. მიუთითებს, რომ არ სურდა, მომხდარი ამბის შესახებ ვინმეს გაეგო, ამიტომ მ. ჩ.-ს ცალკე დაელაპარაკა. განმცხადებელმა სახალხო დამცველს წარუდგინა აღნიშნული შეხვედრის აუდიო ჩანაწერი,

³ აღნიშნული მიმოწერის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში

საიდანაც ირკვევა, რომ განმცხადებელი მ. ჩ.-სთან 2018 წლის 10 მარტის საღამოს მომხდარ ფაქტზე საუბარს ცდილობდა, რაზეც მ. ჩ.-მ უპასუხა, „რომ ვსვამდით?“

ჩანაწერის თანახმად, ლ. გ.-მ მ. ჩ.-ს უთხრა რომ არანაირ ახსნა-განმარტებას არ ელოდებოდა, თუმცა მისთვის გაუგებარი იყო რა წარმოდგენები და მიზნები ჰქონდათ მასთან დაკავშირებით კომპანიაში.

ლ. გ.-მ, ამავე შეხვედრაზე სამსახურიდან წამოსვლის შესახებ შეატყობინა მ. ჩ.-ს და განუმარტა, რომ სამუშაო გარემო, რომელიც 10 მარტს მომხდარის შემდეგ იყო შექმნილი მისთვის მიუღებელი იყო: „მე ის ვიცი, რომ მე სხვანაირი გზა მაქვს არჩეული და სხვა მიზნები მაქვს, სხვა გეგმები მაქვს და აესე არ ვაპირებ გაგრძელებას, და ეგ ჩემს გეგმებში არ შედის, შესაბამისად..“.

მ. ჩ.-მ უპასუხა: „ღმერთმა დაგიფაროს კაცო“.

ლ. გ.-მ ასევე უთხრა: „...უბრალოდ მართლაც გენდობოდი და ბოლომდე მჯეროდა თქვენი, რომ მართლაც მეგობრული დამოკიდებულება გქონდათ ჩემს მიმართ, მაგრამ, ნუ რაც იყო და როგორც იყო ეს უკვე მეორეხარისხოვანია... უბრალოდ მე ამ ვითარებაში ვერანაირად ვერ გავაგრძელებ მუშაობას და არც არანაირი სურვილი არ მაქვს ამ გარემოში ვიმუშაო და არც ვაპირებ...“.

აღნიშნულზეც მ. ჩ.-მ უპასუხა: „...რაც შაბათს რაღაც გარკვეული მოვლენები განვითარდა, სუფთა ადამიანურად ვიტყვი, ნუ საერთოდ არ მიფიქრია რაღაც ცუდი, მოდი პირდაპირ გეტყვი თქვენზე, მართლაც ღმერთი, რჯული, ჩემი ბრალია, გარკვეული თავშეკავების მოცემულობები, მაგრამ რომ დალევ მერე...“ „...გულწრფელად გეტყვი, მე შენ ერთ რაღაცას, არასოდეს მიფიქრია შენზე ცუდი და არც იმ დღის შემდეგ ვიფიქრებ, მართლაც, სუფთა ადამიანურად გეტყვი ერთ რაღაცას და რა ვიცი ჩემთვის ცოტა შოკისმომგვრელი რა არის იგი, რომ შენ ამის გამო თუ აპირებ და მიდიხარ ამ კომპანიიდან და ესაა მიზეზი, მაშინ მე წავალ ამ კომპანიიდან მირჩევნია“.

ლ. გ.-მ დაუდასტურა, რომ მისი სამსახურიდან წასვლის მიზეზი სწორედ მ. ჩ. და მათ შორის მომხდარი ფაქტები იყო.

აღნიშნულის შემდეგ, მ. ჩ.-მ განმცხადებელს უთხრა: „თუ ესაა მიზეზი, მაშინ გიხდი ბოდიშს ამ ყველაფრისთვის, თუ შენთვის, მე შენ რაღაცა გატკინე, რაღაცა გაწყენინე, რაღაცა ისა, მართლაც ღრმა, სუფთა აი, შვილებს გეფიცები სუფთა ადამიანურად გიხდი ბოდიშს. მაპატიე, ბოდიშს გიხდი ... არანაირი ცუდი განზრახვა მართლაც არ მქონია...“.

მ. ჩ.-სთან შეხვედრიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ განმცხადებელს დაურეკა კომპანიის დირექტორმა - ვ. კ.-მ, რომელმაც უთხრა, რომ მ. ჩ.-მ აცნობა მისი წასვლის შესახებ და სთხოვა, ცოტა ხნით გაეგრძელებინა მუშაობა, ვიდრე ის და კომპანიის სხვა ადვოკატი/პარტნიორი გ. მ. არ შეხვედებოდნენ. განმცხადებელი დასთანხმდა, ვინაიდან არ უნდოდა მისი უცაბედი წასვლით პრობლემები შეექმნა კომპანიისთვის, რომელშიც იყო მივლინებული სამუშაოდ. ასევე, სურდა, რომ ოჯახის წევრების და თანამშრომლების მხრიდან ზედმეტი კითხვები აერიდებინა.

2018 წლის 15 მარტს ლ. გ. შეხვდა შპს კომპანიის ადვოკატს/პარტნიორს გ. მ.-ს და დირექტორს/პარტნიორს ვ. კ.-ს.⁴

შეხვედრის დასაწყისში გ. მ.-მ და ვ. კ.-მ განმცხადებელს უთხრეს, რომ თუ ხელფასის მომატება იყო მისი სამსახურიდან წასვლის მიზეზი, ამის შესახებ მას მ. რ.-ს ნაცვლად მათთვის უნდა ეთქვა. აღნიშნული მიზეზი უარყო განმცხადებელმა და უთხრა, რომ, არ უნდოდა მ. რ.-სთან ერთად ერთ კომპანიაში მუშაობა, „ადამიანი, რომელიც ძალით გათრობს, აი, მართლა ძალით, იმიტომ რომ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა თქვენგანი მამაჩემის ტოლია..“. შეხვედრის დროს, ვ. კ.-მ იკითხა, თუ რატომ შედგა შეხვედრა ოფისში შაბათს, რაზეც გ. მ.-მ უპასუხა რომ სხვა დღეებში მას დრო არ ჰქონდა.

განმცხადებელმა ასევე უთხრა: „...მაკოცა, რა თქმა უნდა გავუწიე წინააღმდეგობა, ეს იყო სრული შოკი, ანუ აი საერთოდ უუნარო ვიყავი, შოკისგან, სასმლისგან გაბრუებული...“, „...როცა მიხვდა, რომ ანუ ძალიან ცუდად ვიყავი, შეიძლებოდა რაღაცები ნუ ცუდად დამთავრებულიყო გაჩერდა, მაგრამ მანამდე, თუ სადმე შეიძლებოდა ხელის ფათური, ყველგან მიფათურა, აი უბრალოდ არ მინდა გახსენება და დეტალებში შესვლა, ეს არის ყოველად ამაზრზენი...“. აღნიშნულ შეხვედრაზე ვ. კ.-მ უთხრა, რომ გარკვეულ ღონისძიებებს გაატარებენ და ლ. გ.-ს შესთავაზეს, არ წასულიყო კომპანიიდან, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ მომხდართან დაკავშირებით.

შეხვედრის დროს გ. მ.-მ უთხრა ლ. გ.-ს: „...ის მიდგომა რომ ამ კომპანიასთან არ ვითანამშრომლებ, არის ჩემი შეურაცხყოფაც და ვ. კ.-ს [იგულისხმება ვ. კ.] შეურაცხყოფაც, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიძახი, რომ სახე არ არის ის ვისზეც შენ ეხლა საუბრობ. ...რაც შენგან მოვისმინეთ, ამას ექნება სხვა რეაგირებები, მაგრამ ამას იგრძნობ შენ, თუ ვერ იგრძნობ, ამას არ აქვს მნიშვნელობა. შენი პიროვნება ჩვენში კიდევ ერთხელ ვიძახი ამაღლდა, შენ გადაწყვეტილება შეგიძლია მიიღო ისე როგორც გინდა...“ რაზეც ლ. გ.-მ უპასუხა, რომ: „...თუ ვინმე შეურაცხყოფილია ამ ყველაფერში, ერთადერთი მე ვარ, სხვა არავინ“.

ვ. კ.-მ შესთავაზა გაეგრძელებინა მუშაობა ლ. გ.-ს, თვითონაც დაფიქრდებოდნენ მისთვის სხვა სამუშაო ადგილის შეთავაზებაზე, ისე რომ მ. რ.-ს შეხება არ ჰქონოდა.

ლ. გ.-ს თქმით, მან მუშაობა გააგრძელა, თუმცა ყოველი დღე აუტანელი იყო მისთვის, ამიტომ, 2018 წლის 19 მარტს, შპს კომპანიის ოფისში შეხვდა დირექტორს ვ. კ.-ს და დაინტერესდა, მიიღეს თუ არა ზომები მომხდართან დაკავშირებით.⁵

⁴საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია აღნიშნული შეხვედრის აუდიო ჩანაწერი

⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია აღნიშნული შეხვედრის აუდიო ჩანაწერი.

შეხვედრის დასაწყისში ვ. კ.-მ ჰკითხა განმცხადებელს, *თუ რა მოიფიქრა*, აღნიშნულზე ლ. გ.-მ უპასუხა, რომ მოფიქრებული არაფერი აქვს, მისი აზრით *რადაცებს ძალიან არასერიოზულად უდგებიან კომპანიაში*.

ვ. კ.: *„...ზომების გატარება დაკავშირებული იქნება შენს სამომავლო ურთიერთობასთან.. ჩვენ მაინც გავატარებთ მაგ ზომებს. მაგრამ მე მაინტერესებს შენი ბედი, დავუშვათ გავატარეთ ეგ ზომები, შენ აპირებ დარჩენას ჩვენთან?...“*

ლ. გ.-მ უთხრა, რომ *„როგორც ჩანს ანუ იმან სხვა რადაც სხვა გამოგონილი მიზეზი მოიგონა, შემოვიდეს და აი მითხრას რა მიზეზი გითხრათ და ვეტყვი რა მიზეზი იყო.“* ვ. კ.-მ აღნიშნულზე უპასუხა: *„ისეთი დელიკატური თემა თქვი შენ ჩემთან მაშინ, მე და გ. (იგულისხმება გ. მ.) რო ვიყავით შეხვედრაზე და იმდენად ამაზრზენი იქნება ჩემთვის მისი მხრიდან ამის მოსმენა, როგორ გითხრა, აი ძალიან ამაზრზენი იქნება, იმიტო რო...“* *„მის შემდეგ, ურთიერთობას რასაც ურთიერთობა ქვია ისიც კი არ გამაჩნია სიმართლე გითხრა“*. *„...ჩემთვის ძალიან რთულია რო იმას დავუძახო ეხლა აქ და ეს სიბინძურე კიდე ხელმეორედ განმეორდეს ...ნუ არ ვიცი რა, ამის ახსნა არ არი ... რა გითხრა ლ. (იგულისხმება ლ. გ.) რა...“*.

ვ. კ.-მ ლ. გ.-ს ასევე უთხრა: *„ამდენი ხნის განმავლობაში არის როგორ იცი, რომ თემა მიდის საჯარო სივრცეში და შენ ხარ მერე მოპასუხე, შენგან როგორც კი ეს თემა მიდის საჯარო სივრცეში, მიდის იქ მერე... და არის ეხლა გეხვეწები იქნებ, იქნებ სთხოვო ოღონდ ოჯახმა არ გაიგოსო, მე ვუთხარი, არა მეთქი, მე არ ჩავერევი...“*. ვ. კ.-მ ასევე უთხრა, რომ მათ მიერ გადატარებული ღონისძიებების შესახებ შეატყობინებდნენ ლ. გ.-ს და ამის შემდეგ შეეძლო მიელო გადაწყვეტილება კომპანიასთან თანამშრომლობის თაობაზე.

განმცხადებლის განმარტებით, მან აღნიშნული შეხვედრის შემდეგ ჩათვალა, რომ მისთვის შპს კომპანიაში მუშაობა დაკავშირებული იყო სულიერ ტანჯვასთან, ამიტომ გადაწყვიტა დაეტოვებინა სამსახური. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია ლ. გ.-ს მიერ 2018 წლის 20 მარტს კომპანიის დირექტორისთვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება სამსახურიდან წასვლის თაობაზე, რომლითაც განმცხადებელი სამსახურიდან *წასვლის მიზეზად მ. ჩ.-ს მხრიდან სექსუალურ შევიწროებას ასახელებს*. ასევე, წარმოდგენილია ვ. კ.-ს მიერ გაგზავნილი პასუხი, რომლის თანახმად, კომპანიაში მიმდინარეობდა სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლა, რომლის დასრულების შემდეგაც გაატარებდნენ შესაბამის ღონისძიებებს.

განმცხადებელმა წარმოადგინა ფსიქოლოგის - გ. გ.-ს 2018 წლის 5 აპრილის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ განმცხადებელთან სიღრმისეული ინტერვიუებისა და კლინიკურ ტესტირებაზე დაყრდნობით, ლ. გ.-ს ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყო მძიმე. კერძოდ, აღენიშნებოდა დეპრესიისა და სექსუალური ხასიათის ტრავმული გამოცდილებიდან გამომდინარე უკიდურესი დათრგუნულობის, იმედგაცრუებისა და უსუსურობის განცდა.

განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ ვინაიდან მ. ჩ. ვ. კ.-სთან ერთად არის კომპანიის დირექტორი, ასევე აღნიშნული კომპანიის პარტნიორები არიან მ. ჩ., ვ. კ. და გ. მ., ისინი თავიანთი და კომპანიის რეპუტაციის დასაცავად მოქმედებენ.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია მოპასუხე მხარისგან. მოპასუხემ უარყო განმცხადებლის მიერ აღწერილი ფაქტები.

1.2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე მ. ჩ. წერილობით წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითებს, რომ 2018 წლის 10 მარტს განმცხადებელსა და მას შორის შედგა მშვიდი საუბარი კორპორატიულ სადამოუხე განმცხადებლის *უკონტროლო სიმთვრალესთან* დაკავშირებით, რაზეც ლ. გ.-ს ზეპირი ფორმით მიეცა საყვედური და განემარტა, რომ თუ მსგავსი ქმედება კვლავ განმეორდებოდა, ინფორმირებული იქნებოდა კომპანიის ხელმძღვანელი.

მ. ჩ. აღნიშნავს, რომ ლ. გ. ზოგადად ალკოჰოლურ სასმელს სვამდა, და მიუთითებს 2018 წლის 21 თებერვალს შემთხვევაზე, როდესაც განმცხადებელი საქმიან შეხვედრაზე ვისკის სვამდა კომპანიის კორპორატიულ კლიენტებთან და თავად მ. ჩ.-სთან ერთად.⁶

მოპასუხე აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არასწორად აღწერს 2018 წლის 10 მარტს შპს კომპანიის ოფისში გამართულ შეხვედრაზე მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ, მოპასუხე მიუთითებს, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს განმცხადებელს ვისკი არ დაუღვავია აღნიშნულ. შეხვედრაზე ვისკის სვამდნენ მ. ჩა., მ. ჩ. და თავად ლ. გ.. აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხის წარმომადგენელი მიუთითებს შეხვედრაზე დამსწრე ერთ-ერთი პირის, კომპანიის ადვოკატის, გ. მ.-ს გამოკითხვის ოქმზე, რომელიც წარმოდგენილია სახალხო დამცველის აპარატში.

მ. ჩ.-სთან შეხვედრის აუდიო ჩანაწერთან დაკავშირებით, მოპასუხე აღნიშნავს, რომ ჩანაწერიდან არ იკვეთება სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობა. მ. ჩ.-ს მიერ გაცემულ ყველა პასუხში ის გულისხმობს იმას, რაც, მოპასუხის თქმით, რეალურად მოხდა, კერძოდ, ლ. გ.-ს უკონტროლო სიმთვრალეს და შენიშვნებს მოვალეობების შეუსრულებლობაზე.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ განმცხადებელი, როგორც კომპანიის მიერ კორპორატიულ კლიენტთან მივლინებული თანამშრომელი წარმოადგენდა კომპანიის სახეს. მ. ჩ.-ს მიერ მიცემული შენიშვნა კი მისთვის აღმოჩნდა იმდენად მატრამვირებელი, რომ გადაწყვიტა, ახალი სამსახურის მოძებნის საკუთარი გადაწყვეტილება სექსუალური შევიწროების ბრალდებით გაემართლებინა. მოპასუხე ასევე მიუთითებს, რომ განმცხადებელს ერიდებოდა და შიშობდა, რომ შენიშვნის შემდეგ მას სხვა ადამიანებიც უსაყვედურებდნენ კომპანიაში

⁶ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული მ. ჩ.-ს კუთვნილ მობილურ ტელეფონში არსებული სურათებისა და მიმოწერის ფაქტის კონსტატაციის ოქმი F18000389,

სიმთვრალის გამო და სწორედ ამიტომ სცადა ისტორიის შეცვლა და თავი ხელოვნურად ჩაიყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ მისთვის სამსახურში დარჩენა ეთხოვათ.

ასევე, მოპასუხე მხარე მიუთითებს რომ, განმცხადებელს შესაძლოა მანამდე მართლაც გადახდა სექსუალური ხასიათის ფაქტი და ცდილობს ამით მიღებული მორალური ზიანი მ. ჩ.-ს დისკრედიტაციის საფუძველზე მოითხოვოს.

მოპასუხე ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმცხადებლის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მ. ჩ.-მ ჩაკეტა ოფისის კარები, შემდეგ დამლაგებლები მოვიდნენ ოფისში, რა დროსაც, ის უკვე ცუდად გრძნობდა თავს. მ. ჩ.-ს წარმომადგენლის მითითებით, დამლაგებლების მოსვლის დროს, როდესაც მ. ჩ.-მ კარი გააღო, თუ განმცხადებელი ძალადობის მსხვერპლი იყო, შეეძლო დაეტოვებინა ოფისი. მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ თუ განმცხადებელი თავს ცუდად გრძნობდა, იყო ნასვამი და ვერ აცნობიერებდა მის თავს რა ხდებოდა, ვერ შეძლებდა ქამრის და ელვა შესაკრავის ხმა გაეგო.

მ. ჩ.-ს წარმომადგენელმა ივანე პეტრიაშვილმა, ლ. გ.-ს მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უარყოფის მიზნით, ასევე წარმოადგინა მასალები,⁷ რომელიც მ. ჩ.-ს და ლ. გ.-ს შორის 2018 წლის 10 მარტს საქმიან ურთიერთობას ადასტურებს. მოპასუხის მითითებით, სექსუალური შევიწროვების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მოძალადესა და სექსუალური შევიწროვების მსხვერპლს შორის მშვიდი საქმიანი კომუნიკაცია ვერ შედგებოდა.

მოპასუხემ ასევე წარმოადგინა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ფაქტების კონსტატაციის ოქმი რომლითაც მიუთითებს, რომ 2018 წლის 10 მარტს დოკუმენტზე სამუშაოდ ლ. გ.-ს მისვლა კომპანიის ოფისში იყო განმცხადებლის ინიციატივა. წარმოდგენილ მიმოწერის შინაარსიდან ირკვევა, რომ მ. ჩ.-მ 2018 წლის 10 მარტს 4:47 საათზე მისწერა ლ. გ.-ს და მოიკითხა მისი ნათესავის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიმოწერის დასასრულს ლ. გ.-მ

⁷ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის ოქმი F18000426 2018 წლის 11 მარტს ვაიბერის მეშვეობით მ. ჩ.-ს და ლ. გ.-ს საქმიანი მიმოწერის შესახებ; 2018 წლის 10 მარტს განმცხადებელსა და მ. ჩ.-ს შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით საქმიანი დოკუმენტის გაგზავნის ფაქტის კონსტატაციის ოქმი F18000390; მ. ჩ.-ს კუთვნილი სატელეფონო ნომერში შემავალი და გასული ზარების და შეტყობინებების თაობაზე ფაქტების კონსტატაციის ოქმი F18002428 რომელიც ადასტურებს განმცხადებელსა და მოპასუხე მხარეს შორის 2018 წლის 11 მარტს საქმიანი საუბრის ფაქტს (წარმოდგენილია შესაბამისი აუდიო მასალა); სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N003596618, რომლის თანახმადაც მ. ჩ.-ს კუთვნილ მობილურ ტელეფონში არსებული პროგრამის „Call Recorder“-იდან ამოღებულ იქნა ლ. გ.-სთან 2018 წლის 11 მარტს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი.

ჰკითხა: „...თქვენ ოფისში ხართ ისევ? რომ გამოვიდეთ“, რაზეც მ. ჩ.-მ უპასუხა: „კი, ლ. [იგულისხმება ლ. გ.], მე აქ ვარ“.⁸

მოპასუხემ ასევე წარმოადგინა 2018 წლის 22 მაისის მიმართვის წერილი კომპანიის დირექტორისადმი, რომლითაც, მოთხოვლია ინფორმაცია კომპანიის ოფისში სააბაზანო ოთახის არსებობის თაობაზე, რაზეც 2018 წლის 24 მაისს კომპანიის დირექტორი ვ. კ. პასუხობს, რომ კომპანიის ოფისში სააბაზანო ოთახი არ არის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებელმა დააზუსტა, რომ „სააბაზანო ოთახი“ საპირფარეშო ოთახის აღნიშვნის მიზნით გამოიყენა.

ამასთან, წარმოდგენილია ფსიქიატრის 2018 წლის 24 მაისის დასკვნა, რომელშიც მითითებულია მ. ჩ.-ს დიაგნოზი - ფსიქიკური აშლილობა, რომლის მიზეზი იყო მწვავე სტრესი, რამაც გამოიწვია ადაპტაციის დარღვევა და აღნიშნული აშლილობისათვის დამახასიათებელი სხვა გამოვლინებები.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მესამე პირების ახსნა-განმარტებები

მოპასუხის წარმომადგენელმა წარმოადგინა რამდენიმე მესამე პირთან გასაუბრების მის მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმები, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები, გამოკითხვის მიზნით, ყველა პირს დაუკავშირდნენ. რამდენიმე მათგანმა პირადად გასაუბრებაზე უარი თქვა.

ი. თ. - კომპანიის დამლაგებელი

ი. თ.-ს გამოკითხვის ოქმში მითითებულია, რომ კომპანიის ოფისის დასალაგებლად ძირითადად სალამოს საათებში მიდის, ასე მოხდა 2018 წლის 10 მარტსაც. ოქმში აღნიშნულია, რომ ი. თ.-ს ოფისში შესვლისას კარი ღია იყო, ხოლო სამუშაო ოთახში მ. ჩ. და მოკლე კაბაში, სანახევროდ გულამოღებული ტანსაცმლით ახალგაზრდა გოგო დახვდა. ასევე, აღნიშნულია, რომ ოფისიდან წამოსვლის დროს ახალგაზრდა გოგომ გააცილა კარამდე და მანვე დაკეტა კარი, მ. ჩ. კი ოთახში იჯდა. წარმოდგენილი ოქმის თანახმად, ი. თ.-ს 2018 წლის 10 მარტის სალამოს, არ შეუმჩნევია მათი სიმთვრალე, ალკოჰოლის ჭიქები ან ალკოჰოლისთვის დამახასიათებელი სუნნი. ი. თ. ასევე მიუთითებს, რომ 2018 წლის 10 მარტის სალამოს, გოგონამ, რომელიც მ. ჩ.-სთან ერთად ოფისში იმყოფებოდა, შესთავაზა ყავა,⁹ რაზეც მან უარი უთხრა. ამასთან,

⁸ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ფაქტის კონსტატაციის ოქმი F18000427, 2018 წლის 10 მარტს ლ. გ.-ს და მ. ჩ.-ს შორის სატელეფონო მიმოწერა.

⁹ შენიშვნა: განმცხადებელი განმარტავს, რომ ვისკის სვამდნენ ყავის ჭიქებით. ასევე მიუთითებს, რომ ყავის მომზადება გადაწყვიტა იმისთვის, რომ შეძლებოდათ მუშაობის გაგრძელება. ასევე, შესთავაზა მოპასუხესაც, რათა გამოფხიზლებაში დახმარებოდა და ადეკვატურად შეეფასებინა საკუთარი საქციელი. დამლაგებლისთვის ყავის შეთავაზების თაობაზე, ლ. გ. აღნიშნავს, რომ იმ მომენტში მ. ჩ.-ს დაჟინებულ თხოვნას ალკოჰოლის მიღებაზე ჯერ კიდევ ვერ აღიქვამდა შევიწროებად ან/და მოსალოდნელი სექსუალური შევიწროების წინაპირობად.

გამოკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ ოფისში რაიმე სახის დამაბულობა მას არ შეუმჩნევია. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გასაუბრებაზე ი. თ.-მ უარი განაცხადა.

დ. დ. - შპს „მ. დ.“-ს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

დ. დ.-ს გამოკითხვის ოქმში მითითებულია, რომ კომპანიის კორპორატიულ სადამოხე, რომელიც 2018 წლის თებერვლის თვეში გაიმართა, ლ. გ. იმყოფებოდა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ, იქცეოდა არაადეკვატურად, რამაც დ. დ. ძალიან გააღიზიანა. როგორც იხსენებს, მან შენიშვნა მისცა განმცხადებელს აღნიშნული ქცევის თაობაზე. 2018 წლის მარტის დასაწყისში, კორპორატიულ სადამოხე მომხდარის შესახებ უთხრა მ. რ.-ს, რომელიც დაპირდა, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ აუცილებლად დაელაპარაკებოდა ლ. გ.-ს. მ. რ.-სთან საუბრისას მომხდართ იყო გაოგნებული, დაამშვიდა და გადაწყვიტა ლ. გ.-ს შეხვედროდა, რათა მისგან გაეგო მომხდარის შესახებ. შეხვედრასთან დაკავშირებით, დ. დ. აღნიშნავს, რომ შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ლ. გ.-ს ვიღაც არიგებდა, უბიძგებდა, რათა ებრძოლა მ. რ.-ს წინააღმდეგ. ასევე აღნიშნულია, რომ მას ლ. გ.-ს საქციელი ზოგადად კომპანიაში, არ მოსწონდა, განსაკუთრებით კი მისი მიდრეკილება ალკოჰოლური სასმელებისადმი და შემდგომში არაადეკვატური ქცევები, რაზეც, მისი თქმით, შეხვედრის დროს უთხრა კიდევ ლ. გ.-ს.

ლ. გ.-მ სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა დ. დ.-სთან შეხვედრის აუდიო ჩანაწერი, რომელიც არ შეესაბამება მოპასუხის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ზემოაღნიშნული ოქმის შინაარსს. ჩანაწერის თანახმად, დ. დ.-მ საუბრის დასაწყისში, ლ. გ.-ს აცნობა, რომ ესაუბრა მ. რ.-ს: „...მეთქი ასე როგორ მოგივიდა... მე ვუთხარი რა, ეგ ჩემთან არის ოფისში მეთქი, რომ შემეტყო რაღაცა ეგეთი მეთქი რა... შენ ჩემზე ჭკვიანი ხარ-მე ვუთხარი? ჩემზე ისა გაქვს მე ვუთხარი, ბევრი ფული გაქვს, თუ რატომ იმას ქენი - მეთქი...“; „დასანგრევი იყავი შენა მეთქი იმენა ნაკლების ღირსი არა ხარ მეთქი, მე ვუთხარი, შენ არ უნდა შეგეშალოს მეთქი, ამხელა განათლების კატრონი ადამიანი ხარ“. საუბრისას დ. დ., ასევე მიუთითებს, რომ მას მ. რ.-მ უთხრა: „დეტალები არც მახსოვს... ძაან ნასვამი რო ვიყავი, მეო ვერც გავაცნობიერე, რამდენად არასწორი იყო, მერე მოვტვივნიე, მეთქი რას ვაკეთებო და ეგრევე გავჩერდიო“.

ამავე აუდიო ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ლ. გ.-ს სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ კომპანიის მხრიდან ხელფასის სახით, ნაცვლად მის მიერ ნამუშევარი - 20 კალენდარული დღისა, კომპანიამ ერთი თვის ხელფასი სრულად ჩაურიცხა.¹⁰

დ. დ.-მ უარი განაცხადა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან პირადად გასაუბრებაზე. მან სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა განცხადება, რომელშიც

¹⁰ განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში აღნიშნულის დასადასტურებლად ასევე წარმოადგინა თიბისი ბანკის ამონაწერი, სადაც ჩანს მის სახელფასო ანგარიშზე დარიცხული ხელფასის ოდენობა, ლ. გ.-ს თვიური შრომის ანაზღაურების შესაბამისია

მიუთითა რომ სრულიად ეთანხმება მ. ჩ.-ს წარმომადგენლის ივანე პეტრიაშვილის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის ოქმის შინაარსს.

მ. ჩ.-ს წარმომადგენელმა ივანე პეტრიაშვილმა წარმოადგინა დ. დ.-ს გამოკითხვის მეორე ოქმი. აღნიშნულ ოქმში აღნიშნულია რომ დ. დ. უარყოფს მ. ჩ.-სთან იმ საუბრის ფაქტს, რომელიც ასახულია აუდიო ჩანაწერში. გამოკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ რაც მან უთხრა ლ. გ.-ს, იყო მისი ნააზრევი, ვინაიდან არ მიიჩნევდა ლ. გ.-ს პოზიციას სწორად. ამასთან, დ. დ.-მ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერი არ ასახავდა შეხვედრას სრულად.¹¹

ი. ბ. - შპს კომპანიის ადვოკატი

ი. ბ.-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, მისთვის უცნობია, თუ რატომ აღარ მუშაობდა ლ. გ. კომპანიაში. ასევე, აღნიშნულია, რომ მან ლ. გ. ბოლოს მარტის თვის დასაწყისში ნახა, როდესაც ლ. გ. მისული იყო კომპანიაში და შეხვედრა ჰქონდა მ. ჩ.-სთან. ი. ბ. მიუთითებს, რომ თავად არ დასწრებია შეხვედრას, თუმცა, აღნიშნული შეხვედრის შემდეგ ლ. გ. თბილად დაემშვიდობა და მისთვის აღელვება და ნერვიულობა არ შეუმჩნევია. ი. ბ. აღნიშნავს, რომ შეხვედრის შემდეგ, მ. ჩ.-ს ჰკითხა, თუ რა საქმე ჰქონდა ლ. გ.-ს მასთან. აღნიშნულზე მ. ჩ.-მ უპასუხა: **„არ ვიცი ი. [იგულისხმება ი. ბ.] ცუდი დღე მქონდა დღეს და ამ ადამიანს რა უნდოდა ვერც კი გავიგე ნორმალურად, სამსახურიდან მიდისო“.**

სახალხო დამცველის წარმომადგენელთან პირადი გასაუბრებისას ი. ბ.-მ კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი მ. ჩ.-ს და ლ. გ.-ს შორის 2018 წლის 10 მარტს რაიმე სექსუალური შინაარსის ურთიერთობას, **დაადასტურა აღნიშნული ფაქტის არსებობა**, და აღნიშნა, რომ ამის შესახებ მან მ. ჩ.-სგან შეიტყო, თუმცა, დაამატა, რომ მ. ჩ.-ს თქმით, **„ორმხრივი თანხმობა იყო იმაზე, რაც მოხდაო“.**

სახალხო დამცველმა მოპასუხეს აცნობა ინფორმაცია, რომელიც ი. ბ.-მ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მიაწოდა. მოპასუხეს ასევე გაეგზავნა გამოკითხვის წერილობითი ოქმი. გასაუბრებისას ი. ბ.-მ უარი განაცხადა აუდიო ჩაწერაზე.

აღნიშნულის შემდეგ, მოპასუხის წარმომადგენელმა - ივანე პეტრიაშვილმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა მის მიერ ი. ბ.-სთვის გაგზავნილი წერილი, რომლითაც გამოითხოვა ი. ბ.-ს წერილობითი პოზიცია მის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის თაობაზე. აღნიშნული წერილის პასუხად, ი. ბ.-მ უარყო სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის მოწოდებული ინფორმაცია. ი. ბ. თავის წერილში აღნიშნავს, რომ მან სახალხო დამცველის წარმომადგენლებს განუდარტა, რომ სრულიად ეთანხმებოდა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი

¹¹ შენიშვნა: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ლ. გ.-ს და დ. დ.-ს შეხვედრის სრული აუდიო ჩანაწერი იქნა წარმოდგენილი, რაზეც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარდა საექსპერტო სამუშაოები.

გამოკითხვის ოქმის შინაარსს და დასამატებელი არაფერი ჰქონდა. მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს უთხრა რომ მ. ჩ.-მ. როდესაც მას გარკვეული დროის შემდეგ ჰკითხა თუ რა მოხდა, უპასუხა რომ ლ. გ. აბრალებდა მას იძულებით სექსუალურ შევიწროებას, მ. ჩ.-ს თქმით იძულებითი არაფერი მომხდარა, არათუ იძულებას, არამედ ასეთ ფაქტს ბუნებაში ადგილი არ ჰქონიაო.

ზ. ა. - კომპანიის ადვოკატი

ზ. ა.-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, იგი იმყოფებოდა კომპანიის კლიენტის კორპორატიულ სადამოფე რესტორან „ბაბილოში“. მისი თქმით, აღნიშნულ ღონისძიებაზე თითქმის საათნახევარი დაჰყო, თუმცა, თვალში მოხვდა სხვებთან შედარებით მეტად ნასვამი ლ. გ.. მან ასევე მიუთითა, რომ 2018 წლის მარტის მეორე ნახევარში შეამჩნია, რომ მ. ჩ. ნერვიულობდა და არაორგანიზებული გახდა. ზ. ა.-სთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

ს. ა. - კომპანიის მენეჯერი

ს. ა. გამოკითხვის ოქმში მიუთითებს, რომ ლ. გ.-ს კომპანიიდან წასვლის მიზეზების შესახებ მ. ჩ.-ს კორესპონდენციის მეშვეობით ჰქონდა ინფორმაცია, ვინაიდან მისი ერთ-ერთი ფუნქცია კომპანიაში შემოსული წერილების მიღება და კომპანიის სახელით გასული წერილების გაგზავნის ორგანიზებაა. ს. ა. მიუთითებს, რომ 2018 წლის 25 აპრილს კომპანიის დირექტორის ვ. კ.-ს თხოვნით, ლ. გ.-ს გადასცა კომპანიის მიერ გაცემული დახასიათება. აღნიშნულ შეხვედრაზე მას არ შეუმჩნევია ლ. გ.-ს არანაირი მღელვარება.

სახალხო დამცველი აპარატში განმცხადებელმა წარმოადგინა აღნიშნული შეხვედრის აუდიო ჩანაწერი. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გასაუბრების დროს ს. ა. ვერ გაიხსენა, როდის შეიტყო ლ. გ.-ს სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ.

რ. ჩ. - ადვოკატი

რ. ჩ.-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, მარტის მეორე ნახევარში, ზუსტ თარიღს ვერ იხსენებს, შემთხვევითი შეხვედრის დროს შეამჩნია, რომ მ. ჩ. დამაბული და გაღიზიანებული იყო. როდესაც მიზეზის შესახებ ჰკითხა, მ. ჩ.-მ უპასუხა, რომ ცილს სწამებენ და რომ მისი განადგურება სურდათ. ის მოუყვა, რომ კომპანიის ყოფილი თანამშრომელი მას ედავებოდა სექსუალურ შევიწროებას, რასაც ადგილი არ ჰქონია და ასეთი განაცხადი მისთვის ძლიერ შეურაცხმყოფელი იყო, რის გამოც სუიციდზეც კი იფიქრა. რ. ჩ. მიუთითებს, რომ ამ ამბის შეტყობის შემდეგ, ცდილობდა დაემშვიდებინა მ. ჩ. და უთხრა: „ბიჭო ტრამპსაც ადანაშაულებდნენ სექსუალურ შევიწროებაში მეთქი და ასევე, შევახსენე ზ. დ.-ს ამბავი“, რაზეც მ. ჩ.-მ უპასუხა, „რ. [იგულისხმება რ. ჩ.] მართალი რომ იყოს არ ვინერვიულებდი, მაგრამ მე რასაც განვიცდი ღმერთმა ნუ განგაცდევინოს, საშინელება ყოფილა ცილისწამება და შემთხვევით არ არის ათ მცნებაში ნათქვამი არა ცილ წამოო“.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გასაუბრებისას რ. ჩ.-მ აღნიშნა, რომ დაახლოებით 2007 წლიდან იცნობს მ. ჩ.-ს, როდესაც ის სტაჟირებას გადიოდა „საქართველოს ახალგაზრდა

იურისტთა ასოციაციაში“ და ამასთან, მ. ჩ. მისი შვილის ნათლიაა. ისინი რამდენიმე წელი ერთად მუშაობდნენ, თუმცა ბოლო 5-6 წელია ცალკე-ცალკე ეწევიან საადვოკატო საქმიანობას. რ. ჩ.-ს თქმით, მან გ. მ.-სგან შეიტყო, რომ მ. ჩ.-ს სუიციდის მცდელობა ჰქონდა. მისგან ასევე გაიგო, რომ ყოფილი თანამშრომელი მ. ჩ.-ს ადანაშაულებს სექსუალურ შევიწროებაში. ამის შემდეგ რ. ჩ. ეცადა თვითონაც მოეკითხა მ. ჩ., რათა გარკვეულიყო მოვლენებში. მ. ჩ.-მ უთხრა, რომ ერთი თანამშრომელი ჰყავდათ მივლინებული სხვა კომპანიაში და იქ მოიქცა ძალიან ვულგარულად და მთელი კომპანია გატეხილში ვართ მაგისი ქმედების გამო. დავისვი და ველაპარაკე მკაცრად და ამის შემდეგ მესამე დღეს ესეთი სასწაულები მოხდაო, ცხოვრებაში არ შევხებვარ, რა ძალადობა, რის ძალადობაო. ამ მკაცრი საუბრის შემდეგ წავიდა კომპანიიდანო.

გ. ი. - კომპანიის სტაჟიორი

გ. ი.-ს გამოკითხვის ოქმში მითითებულია, რომ გ. ი.-ს მ. ჩ.-სთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. მისი თქმით, შეამჩნია, რომ მარტის მეორე ნახევარში მ. ჩ. შეიცვალა, ჰქონდა ნანერვიულები და შეწუხებული სახე. გ. ი. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გასაუბრებაზე უარი თქვა.

გ. მ. - კომპანიის პარტნიორი/ადვოკატი

გ. მ. გამოკითხვის ოქმში მიუთითებს, რომ ლ. გ.-ს განცხადება სექსუალური შევიწროების თაობაზე, შოკისმომგვრელი იყო მ. ჩ.-სთვის. ლ. გ.-ს მიერ განცხადების დაწერიდან მეორე ან მესამე დღეს, შეატყო, რომ მ. ჩ. ძალიან ნერვიულობდა, წერდა რაღაცას, შემდეგ კი დაემშვიდობა და წავიდა. გ. მ. მიუთითებს რომ არ მოეწონა მისი ქცევა და ჩუმად გაყვა, რადგან შეეშინდა, მ. ჩ.-ს საკუთარი თავისთვის არაფერი დაეშავებინა. გ. მ. აღნიშნავს, რომ მ. ჩ. მანქანით წავიდა თბილისის ზღვაზე. თვითონ გაყვა და მანქანა მოშორებით გააჩერა, რათა მ. ჩ.-ს არ შეემჩნია და ფეხით მიუახლოვდა. დაინახა, რომ მ. ჩ. ტიროდა, ხელში ფურცელი ეჭირა. როდესაც მიუახლოვდა, მ. ჩ.-მ შეწყვიტა ტირილი და უთხრა: ვერ შევძელი, ვერ შევძელი, ბავშვის შეტყობინება ვნახე ვაიბერზე და ვერ გავაკეთეო. გ. მ. ამბობს, რომ მძღოლის სავარძლის გვერდზე შეამჩნია დანა და ყველაფერს მიხვდა. მისი განმარტებით, მ. ჩ. ემოციურად ეუბნებოდა: არ ყოფილა გ. [იგულისხმება გ.მ], ის რასაც იძახის, რატომ მანადგურებს, რატომ მინგრევს ყველაფერს, მე ხომ მისთვის არ დამიშავებია არაფერიო.

გ. მ.-ს გამოკითხვის ოქმში აღნიშნავს, რომ ლ. გ. ჩვეულებრივად სვამდა ალკოჰოლურ სასმელს. გ. მ. მიუთითებს 2018 წლის 11 თებერვალს კორპორატიულ სადამოუფ. ასევე იხსენებს, რომ ერთხელ, გამოიტანა ვისკი ოფისში შეხვედრაზე, რომელსაც სვამდნენ მ. ჩა., ლ. გ., მ. ვ. და მ. ჩ.. მისთვის გაკვირვება გამოიწვია ლ. გ.-ს მიერ ალკოჰოლის ამტანობამ. გ. მ. ადასტურებს, რომ ამ დღეს ლ. გ. წავიდა საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ, მ. ჩა.-სთან დაკავშირებით მასალა უნდა მოემზადებინათ ჟურნალისტისთვის. გ. მ.-ს განმარტებით, მან პირადად უთხრა ლ. გ.-ს, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, განმცხადებელს შეეძლო მ. ჩა.-სთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით ემუშავა და აუცილებლობას არ წარმოადგენდა მისი ოფისში მიბრუნება.

ასევე მიუთითებს, რომ ოფისიდან გასვლამდე მ. ჩ.-მ განმცხადებელს უთხრა, თუ რაღაც ვიქნებით ხაზზე გ. მ.-მ სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გასაუბრებაზე უარი თქვა.

მ. ნ.

მ. ჩ.-სთან აკავშირებს საქმიანი ურთიერთობა და მას რამდენიმე წელია იცნობს. მ. ნ. გამოკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ 2018 წლის მარტის მეორე ნახევარში მ. ჩ.-მ მას სთხოვა რეკომენდაცია გაეწია ფსიქოლოგისთვის, ვინაიდან, **მის თავს რაღაც დიდი სიბინძურე ხდებოდა და იმყოფებოდა სტრესულ მდგომარეობაში**. მ. ნ. ასევე მიუთითებს, რომ მ. ჩ. უჩვეულოდ შფოთავდა თითქოს განადგურებული იყო. ამასთან, უთხრა, რომ შეურაცხყოფილი იყო ცილისწამების გამო და სტრესის გამო თვითმკვლელობაც კი სცადა.

კომპანიის პოზიცია

საქართველოს სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია კომპანიიდან მ. ჩ.-ს მხრიდან ლ.გ.-ს მიმართ სამუშაო ადგილზე სავარაუდო სექსუალური შევიწროვების ფაქტის და აღნიშნულ საკითხზე გატარებული ღონისძიებების შესახებ. კომპანიის საპასუხო წერილში მითითებულია, რომ კომპანია დაელოდება სახალხო დამცველის მიერ მტკიცებულებების შესწავლას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იმოქმედებს გადაწყვეტილების ფარგლებში. კომპანიის დირექტორის ვ. კ.-ს წერილში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 19 მარტს ლ. გ.-მ შეხვედრის დროს აცნობა მ. ჩ.-ს მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროვების თაობაზე. თუმცა, რამდენიმე დღით ადრეც ჰქონდა მასთან შეხვედრა, რომელზეც განმცხადებელმა ზოგადად მიაწოდა ინფორმაცია მომხდარის შესახებ.

ვ. კ.-მ აღნიშნა, რომ საკითხზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, 2018 წლის 19 მარტს წერილობით მიმართა მ. ჩ.-ს და მოსთხოვა გონივრულ ვადაში წარმოედგინა საკუთარი პოზიცია და მის ხელთ არსებული მტკიცებულებები.¹² ვ. კ.-ს ა(ა)იპ ფსიქო-სოციალური კვლევის მომსახურების ასოციაცია „ნ.“-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ფსიქოთერაპევტის - დ. ა.-ს 2018 წლის 23 მარტის წერილით ეცნობა, რომ მ. ჩ., მის მიმე ფსიქიკურ სტრესთან დაკავშირებით, ფსიქოთერაპიის კურსს გადიოდა.¹³

2018 წლის 2, 20 აპრილს და 17 მაისს კომპანიის დირექტორმა ვ. კ.-მ მ. ჩ.-სგან გამოითხოვა მტკიცებულებები და განმარტება ლ. გ.-ს მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით¹⁴ აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციისა და სსიპ ლევან სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ, 2018 წლის 25 მაისს მ. ჩ.-მ კომპანიას წარუდგინა მტკიცებულებები, კერძოდ, ფაქტების კონსტატაციის მასალები,

¹² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია კომპანიის დირექტორის 2018 წლის 19 მარტის მ. ჩ.-ს სახელზე გაგზავნილი წერილი

¹³ შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტი მ. ჩ.-ს წარმომადგენელმა ასევე წარმოადგინა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია კომპანიის 2 და 20 აპრილის მ. ჩ.-ს სახელზე გაგზავნილი წერილები.

გამოკითხვის ოქმები და სხვა, რომელიც კომპანიამ ასევე მოაწოდა სახალხო დამცველის აპარატს.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი გაესაუბრა კომპანიის დირექტორს ვ. კ.-ს, რომელიც აღნიშნავს, რომ მისთვის გაუგებარია, არასამუშაო დღეს ოფისში მისვლას თუ აპირებდა განმცხადებელი, რატომ არ შეატყობინა მას. ვინაიდან, ლ. გ., როგორც სტაჟიორი მასზე იყო მიმაგრებული. ვ. კ.-მ განაცხადა, რომ არ იყო რაიმე სასწრაფო დოკუმენტი, რომელიც სხვა დროს არ შეიძლება გაკეთებულიყო და არავინ აძალეზდა არასამუშაო დღეს სამსახურში გამოცხადებას. ვ. კ.-მ ასევე განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ არ დაუკავშირდა მას ლ. გ. იმავე ან მეორე დღეს.

აქამდე მ. ჩ.-ს მხრიდან კომპანიაში სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით მისთვის არავის უცნობებია. კომპანიის დირექტორმა მიუთითა, რომ განმცხადებლის სასმელთან დამოკიდებულება პრობლემა იყო, რაც მისთვის ცნობილი სხვა კომპანიისგან გახდა, რომელშიც ლ. გ. სამსახურებრივად იყო მივლინებული. ვ. კ.-ს თქმით, მ. ჩ. განრიდებულია მმართველობითი საქმიანობიდან, ვიდრე სახალხო დამცველის აპარატის მიერ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

2. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება

განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელი ანაზღაურებად სტაჟირებას გადიოდა კომპანიაში. საქართველოს „შრომის კოდექსის“ განმარტებით, შრომითი ურთიერთობა არის შრომის მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.¹⁵ სტაჟირების ცნებას საქართველოს შრომის კოდექსი არ იცნობს, თუმცა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N111 კონვენციის 1(3) მუხლის თანახმად, კონვენციის მიზნებისათვის ტერმინები „შრომა“ და „საქმიანობა“ მოიცავს პროფესიული სწავლების ხელმისაწვდომობას, შრომისა და სხვადასხვა საქმიანობის ხელმისაწვდომობას, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და პირობებს¹⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე გადაწყვეტილებაში, საქართველოს სახალხო დამცველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს სამუშაო ადგილზე სავარაუდო სექსუალური შევიწროების კონტექსტში შეაფასებს.

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი

¹⁵ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2 (1)

¹⁶ ILO, Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111) , ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C111

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროვებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად¹⁷ და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი გენდერული ნიშნით ძალადობის ამ ფორმას ექვემდებარება.¹⁸

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია სექსუალური შევიწროება – *სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას.*

სექსუალური შევიწროება შევიწროების ერთ-ერთი სპეციფიური და ყველაზე ხშირი გამოვლინების ფორმაა. სექსუალური შევიწროების ორი ფორმა არსებობს: 1. *Quid Pro Quo* ანუ მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის მოთხოვნის არსებობას ქმედებაში;¹⁹ და 2. მტრული სამუშაო გარემო, როდესაც სამუშაო ადგილზე დამაშინებელ, შეურაცხყოფელ პირობებს²⁰ ქმნის სექსუალური შინაარსის დამამცირებელი კომენტარები, მინიშნებები, შენიშვნები, ხუმრობები.²¹

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევს ნებისმიერ შეუსაბამო შენიშვნას, ხუმრობას ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობაზე, ასევე, ქედმაღლურ ან პატერნალისტურ დამოკიდებულებას, რომელიც ატარებს სექსუალურ ქვეტექსტს და ლახავს ადამიანის ღირსებას, ნებისმიერ მხერას ან სხვა შესტიკულაციას, რომელიც ასოცირდება სექსუალობასთან.²²

¹⁷UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989, §1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12>

¹⁸UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17

¹⁹ ILO, *Fact Sheet on Sexual Harassment at Work*, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_decl_fs_96_en.pdf

²⁰ ILO, *Sexual Harassment at Work*, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_decl_fs_96_en.pdf

²¹ Deirdre McCann, *Sexual Harassment at work: National and International Responses*, ILO, Conditions of Work and Employment Series No. 2, 2005, გვ. 2,

ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_travail_pub_2.pdf

²² International Labour Organization (ILO), *Equality in Employment and Occupation*, Geneva, 1996, § 39, გვ.15, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661\(1996-83-4B\).pdf](http://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661(1996-83-4B).pdf)

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“) მე-40 მუხლიც სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას.²³

ასევე, სექსუალურ შევიწროვებად უნდა ჩაითვალოს მითითებები გარეგნობაზე, სხეულის ნაწილებზე, სხეულზე შეხება სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით, ან აღნიშნული მიზნის გარეშე, არასასურველი ჩახუტება, კოცნა. ზეწოლა სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით.²⁴

სექსუალურ შევიწროვებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.²⁵

სექსუალური შევიწროების დასადგენად ქცევის არასასურველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, ეს არ გულისხმობს ქმედების „იძულებითობას.“ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ქმედების არასასურველობის განჭვრეტადობასაც. მსხვერპლი შესაძლოა ეთანხმებოდეს კონკრეტულ ქცევას და აქტიურადაც მონაწილეობდეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის ქმედება უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი იყოს.²⁶

სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას საჭიროა ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად

²³ Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 208, გვ. 33-35, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/16800d383a>

²⁴UN, *What is Sexual Harassment?*, გვ. 1-2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf>

²⁵ Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment*, 7. *Burden of Proof, Evidentiary Issues*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154

²⁶ UN, *What is Sexual Harassment?*, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf>

შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ.²⁷ ზოგადი მიდგომის გამოყენებამ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სოციალურად განსაზღვრული გენდერული ნორმები არსებობს, შესაძლოა დისკრიმინაციული შედეგი გამოიწვიოს.²⁸

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია, რომ სექსუალური შევიწროება ქალთა თანასწორუფლებიანობის მხრივ ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა.²⁹ საქართველოში დღემდე არსებობს უარყოფითი გენდერული სტერეოტიპები, რომლის თანახმად, დასაქმების ადგილზე თუ სხვა სიტუაციაში არასასურველი მოპყრობის გამომწვევი არის თავად ქალი, რის გამოც ქალებს აქვთ მოლოდინი, რომ კაცის მხრიდან შევიწროების შემთხვევაში, საზოგადოებამ, ოჯახმა თუ კოლეგებმა ის შესაძლოა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულონ. აქედან გამომდინარე, ქალის მოწყვლადობის ხარისხი კიდევ უფრო იმატებს და პრობლემა დაფარული რჩება, ვინაიდან შევიწროვების მსხვერპლს ვიქტიმიზაციის შიში აქვს.

განმცხადებლის მიერ მითითებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის განხორციელების დროს, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობდა სექსუალური შევიწროების ცნებას. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონზე და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, განიხილავდა სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმეებს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, განმარტოს, რომ 2019 წლის 19 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების³⁰ საფუძველზე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-2 მუხლს დაემატა მე-3² პუნქტი, რომლის თანახმად, *სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.*

ასევე, 2019 წლის 3 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების³¹ საფუძველზე, საქართველოს „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის

²⁷ Supreme Court of the United States, Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al., No. 96-568, 1998, II, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.law.cornell.edu/supct/html/96-568.ZO.html>

²⁸ Ann C. McGinley, *Reasonable Men?*, Connecticut Law Review, Vol. 45, 2012, გვ. 31, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1768&context=facpub>

²⁹ სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ. 115

³⁰ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4485888?publication=0>

³¹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4548377?publication=0>

ერთ-ერთ ფორმად განისაზღვრა სექსუალური შევიწროება.³² ამასთან, ამავე მუხლის მე-4¹ პუნქტი განმარტავს სექსუალური შევიწროების ცნებას, რომლის თანახმად, *სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.* „შრომის კოდექსის“ მიზნებისთვის, სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.³³

ამასთან, 2019 წლის 2 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების³⁴ საფუძველზე, შრომის კოდექსის მე-5 მუხლს დაემატა მე-9 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს დამსაქმებლის ვალდებულებას, კანდიდატს გააცნოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებები პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის და მისი დაცვის საშუალებების შესახებ, მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

2.2. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნის სექსუალური შევიწროების შემადგენლობას. კერძოდ, ლ. გ. მიუთითებს, რომ მ. ჩ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის კომენტარებს განმცხადებლის გარეგნობასთან დაკავშირებით³⁵ და არასასურველ სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ქცევებს,³⁶ რის შემდეგაც განმცხადებელი იძულებული გახდა,

³² „დისკრიმინაციად (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“

³³ საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4¹ ნაწილის შენიშვნა

³⁴ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4485899?publication=0#DOCUMENT:1;>

³⁵ განმცხადებლის მითითებით, მ. ჩ.-მ გაიყვანა სააბაზანო ოთახში, სარკეში ჩაახედა და უთხრა, რომ საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებდა, ვინაიდან, სარკეში ჩანდა ლამაზი გოგო, რომლსაც აქვს ლამაზი თვალები, წარბები, ტუჩები, კბილები და ლამაზი ძუძუს თავები. აქვე დაამატა, რომ მართალია, მას [მოპასუხეს] არ უნახავს, თუმცა, თავად ლ. გ.-ს ხომ ჰქონდა ნანახი.

³⁶ განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მ. ჩ.-მ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აკოცა. განმცხადებელი ასევე, იხსენებს, რომ მ. ჩ.-მ ჩაისვა კალთაში, ხელით ეხებოდა სხეულზე, მათ შორის სასქესო ორგანოზე, გაუხსნა კაბის ღილები, ეფერებოდა და კოცნიდა მკერდზე. ასევე, განმცხადებლის მითითებით, მან გაიგო ქამრის და ელვაშესაკრავის შეხსნის ხმა. ეშინოდა თვალების გახელის, თუმცა, მარჯვენა ხელზე იგრძნო რბილი სხეულის შეხება, რომელიც ჩათვალა, რომ მ. ჩ.-ს სასქესო ორგანო უნდა ყოფილიყო.

დაეტოვებინა სამუშაო ადგილი. ლ. გ.-ს მითითებით, მ. ჩ.-სთან ერთად მუშაობა მისთვის შეურაცხმყოფელი იყო, ამასთან, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ კომპანიის ხელმძღვანელი პირები სათანადოდ ვერ აღიქვამდნენ, რომ შექმნილი გარემო მისთვის დამამცირებელი იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა სამომავლოდ კომპანიასთან თანამშრომლობას.

განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების და მტკიცებულებების უარყოფის მიზნით, მ. ჩ.-მ სახალხო დამცველს შემდეგი არგუმენტები წარუდგინა:

1. მოპასუხე მხარემ წერილობით განმარტა, რომ 2018 წლის 10 მარტს განმცხადებელს მ. ჩ.-მ მისცა შენიშვნა თებერვლის თვეში კორპორატიულ სადამოხე უკონტროლო სიმთვრალესთან დაკავშირებით, რომლის წინაპირობაც შპს „მ. დ.“-ს დაცვის სამსახურის უფროსის დ. დ. მიერ მიწოდებული ინფორმაცია გახდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის მიერ მ. ჩ.-სთან 2018 წლის 12 მარტის შეხვედრის აუდიო ჩანაწერიდან იკვეთება, რომ ლ. გ. მ. ჩ.-სთან 2018 წლის 10 მარტის სადამოს მომხდარ ფაქტზე საუბარს ცდილობდა, რაზეც მ. ჩ.-მ უპასუხა, „რომ ვსვამდით?“ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 2018 წლის 10 მარტს კომპანიის ოფისში ალკოჰოლური სასმელის დალევის ფაქტი არ იქნებოდა ლოგიკური, თუკი იმავე სადამოს განმცხადებელს, სიმთვრალის გამო, მ. ჩ.-სგან შენიშვნა ჰქონდა მიღებული. ამასთან, სახალხო დამცველისთვის გაუგებარია, თებერვლის თვეში კორპორატიულ სადამოხე განმცხადებლის უკონტროლო სიმთვრალის გამო შენიშვნის მიცემამდე მ. ჩ.-სთან და შესამე პირებთან ერთად დალევის ფაქტიც. ასევე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი არგუმენტაცია არ ქმნის კონკრეტულ სურათს, თუ რა მოვლენები განვითარდა 2018 წლის 10 მარტს ან/და რატომ არ მისცა აღნიშნული შენიშვნა მანამდე.
2. მოპასუხის წარმომადგენელი ივანე პეტრიაშვილი აღნიშნავს, რომ განმცხადებლისა და მ. ჩ.-სთან საუბრის აუდიო ჩანაწერიდან არ იკვეთება სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობა. მოპასუხე მიუთითებს, რომ მ. ჩ.-ს მიერ გაცემულ ყველა პასუხში ის გულისხმობს ლ. გ.-ს უკონტროლო სიმთვრალეს და შენიშვნებს მოვალეობების შეუსრულებლობაზე. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 12 მარტის ლ. გ.-ს და მ. ჩ.-ს შეხვედრის აუდიო ჩანაწერიდან ირკვევა, რომ *სამუშაო გარემო, რომელიც 10 მარტს მომხდარის შემდეგ სუფევდა, ლ. გ.-სთვის მიუღებელი იყო, რაზეც მ. ჩ.-მ უპასუხა: „...რაც შაბათ-კვირას გარკვეული მოვლენები განვითარდა, სუფთა ადამიანურად ვიტყვი, საერთოდ არ მიფიქრია რაღაც ცუდი თქვენზე, ღმერთი, რჯული, ჩემი ბრალია, გარკვეული თავშეუკავებლობის მოცემულობები, მაგრამ რომ დალევ მერე...“* ასევე, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მ. ჩ.-მ ბოდიში მოუხადა და უთხრა განმცხადებელს: *არანაირი ცუდი განზრახვა მართლაც არ მქონია...“* სახალხო დამცველისათვის გაუგებარია, თუ რატომ და რასთან დაკავშირებით უნდა ცდილობდეს მოპასუხე მხარე ბოდიშის მოხდას და იმის ხაზგასმას, რომ ცუდი განზრახვა არ ჰქონია, თუკი განმცხადებლის მიერ კორპორატიულ სადამოხე არასათანადო ქცევის თაობაზე

მისცა შენიშვნა და 10 მარტს ლ. გ.-სთვის არასასურველ ქმედებას არ ჰქონია ადგილი მისი მხრიდან.

მოპასუხის არგუმენტს ლ. გ. შენიშვნის მიცემის თაობაზე, რომლის წინაპირობაც დ. დ.-ს მიერ მ. რ.-სთვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენდა, ასევე გამორიცხავს განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერი, რომელიც ლ. გ.-ს და დ. დ.-ს შეხვედრას ასახავს. აღნიშნული შეხვედრაზე დ. დ. უყვება ლ. გ.-ს, რომ დაელაპარაკა მ. რ.-ს და უთხრა:ასე როგორ მოგივიდა მეთქი, მე ვუთხარი. ეგ ჩემთან არის ოფისში და რომ შემეტყო რაღაც ეგეთი, შენ ჩემზე ჰკვიანი ხარ-თქო? ჩემზე ბევრი ფული გაქვს, თუ რატომ იმასქენი-მეთქი...“;ლ. [იგულისხმება ლ. გ.] რომ ცოტა ისეთი ყოფილიყო, დასანგრევი იყავი შენ აქამდე, ღირსიც იყავი მეთქი, მე ვუთხარი, შენ არ უნდა შეგეშალოს ეგ მეთქი, ამხელა განათლების პატრონი ადამიანი ხარ. ასევე, დ. დ. იხსენებს, რომ მ. რ.-მ მას უთხრა, „დეტალები არ მახსოვსო, ნასვამი რო ვიყავი, ვერც მე გავაცნობიერე, რამდენად არასწორი იყო, მერე მივხვდი რას ვაკეთებდიო და ეგრევე გაჩერდიო“. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული აუდიო ჩანაწერის შინაარსი მიუთითებს, დ. დ.-ს მიერ მ. რ.-სთვის ინფორმაციის მიწოდება კორპორატიულ სადამოხე ლ. გ.-ს უკონტროლო სიმთვრალესთან დაკავშირებით, არ უძლოდა წინ 2018 წლის 10 მარტის ფაქტებს.

ამასთან, 2018 წლის 10 მარტს მ. რ.-ს და ლ. გ.-ს შორის **სექსუალური ხასიათის გარკვეული ურთიერთობის არსებობის ფაქტს ადასტურებს** კომპანიის ადვოკატი ი. ბ.. სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ი. ბ.-მ აღნიშნა, რომ მან ამის შესახებ მ. რ.-სგან შეიტყო. კერძოდ, მ. რ.-მ უთხრა: ორმხრივი თანხმობა იყო იმაზე, რაც მოხდაო. აღსანიშნავია, რომ ი. ბ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის მოპასუხის პოზიციასთან, რომ მასსა და განმცხადებელს შორის სექსუალური ხასიათის რაიმე სახის ქცევას ადგილი არ ჰქონია. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ მოპასუხის წარმომადგენლის, ივანე პეტრიაშვილის მიერ წარმოდგენილ გამოკითხვის ოქმებთან შედარებით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ინტერესების დამცველია, ი. ბ.-ს მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მეტი სანდოობის განცდას ტოვებს. ამასთან, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, განმარტოს, რომ მ. რ.-სთვის განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ მისი სექსუალური ქცევა - ფრაზეები და ფიზიკური შეხება, შესაძლოა შეურაცხმყოფელი ყოფილიყო განმცხადებლისთვის. ლ. გ.-ს მიერ 2018 წლის 10 მარტს განვითარებული მოვლენების აღქმა და დამოკიდებულება დასტურდება მისი სამსახურიდან წასვლის ფაქტითაც, იმის გათვალისწინებით, რომ ის სტაჟიორი იყო შპს კომპანიაში და იმ დროისთვის ალტერნატიულ სამსახურში არ ჰქონია. აღნიშნულ ფაქტს ასევე ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერების შინაარსი, რომლებშიც ლ. გ. ცდილობს გ. გ.-ს და ვ. კ.-ს განუმარტოს რომ 2018 წლის 10 მარტის მოვლენები მისთვის შეურაცხმყოფელი იყო.³⁷ ლ. გ ასევე ცდილობს შპს

³⁷ განმცხადებელმა გ. მ.-ს და ვ. კ.-ს უთხრა:მაკოცა, რა თქმა უნდა გავუწიე წინააღმდეგობა, ეს იყო სრული შოკი, ანუ აი საერთოდ უუნარო ვიყავი, შოკისგან, სასმლისგან გაბრუნებული...“;როცა მიხვდა,

კომპანიის დირექტორს ვ. კ.-ს შეხვედრისას მიუთითოს რომ, მ. ჩ.-ს ქმედებები, იმაზე მნიშვნელოვანია და რთული, ვიდრე ამას აღნიშნულ კომპანიაში აღიქვამენ.³⁸ ამასთან, როგორც აუდიო ჩანაწერით იკვეთება, ლ. გ.-მ მ. ჩ.-ს საუბრისას პირდაპირ განუმარტა რომ მისთვის სწორედ 2018 წლის 10 მარტს მომხდარის შემდეგ მასთან ერთად მუშაობა მიუღებელი გახდა.³⁹

3. მოპასუხე მ. ჩ. აღნიშნავს, რომ ლ. გ.-სთვის მის მიერ მიცემული შენიშვნა იმდენად მატრამვირებელი აღმოჩნდა, რომ გადაწყვიტა, ახალი სამსახურის მოძებნის საკუთარი გადაწყვეტილება სექსუალური შევიწროების ბრალდებით გაემართლებინა. სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მ. ჩ.-ს მხრიდან განმცხადებლისთვის შენიშვნის მიცემის ფაქტი, რაც შემდეგ შესაძლოა გამხდარიყო სამსახურიდან წასვლის საფუძველი. გარდა ამისა, მოპასუხე ვერ ასაბუთებს რატომ გამოიწვევდა შენიშვნის მიცემა განმცხადებლის ტრამვირებას ან რატომ მიაჩნია, რომ ახალი სამსახურის დაწყების გამო განმცხადებელი ისაუბრებდა მის სექსუალურ შევიწროებაზე. მოპასუხის აღნიშნული არგუმენტაცია არ ეფუძნება კონკრეტულ მტკიცებულებებს.
4. ასევე, სახალხო დამცველი დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოპასუხის მითითებას, რომ ლ. გ.-ს შესაძლოა მანამდე მართლაც გადახდა სექსუალური ხასიათის ფაქტი და ცდილობს ამით მიღებული მორალური ზიანი მ. ჩ.-ს დისკრედიტაციის საფუძველზე მოითხოვოს.
5. ამასთან, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ 2018 წლის 10 მარტს დოკუმენტზე სამუშაოდ კომპანიის ოფისში ლ. გ.-ს ინიციატივა იყო, ვერ იქნება მიჩნეული სექსუალური შევიწროების გამომრიცხავ ფაქტობრივ გარემოებად. ასევე, მოპასუხე მხარის მიერ მითითებული არგუმენტები და მტკიცებულებები, 2018 წლის 10 და 11 მარტს მ. ჩ.-ს და ლ. გ.-ს შორის საქმიან კომუნიკაციასთან დაკავშირებით, არ გამორიცხავს სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობას და არ აქარწყლებს სექსუალური შევიწროების

რომ ანუ ძალიან ცუდად ვიყავი. შეიძლებოდა რაღაცები ნუ ცუდად დამთავრებულებიყო გაჩერდა. მაგრამ მანამდე, თუ სადმე შეიძლებოდა ხელის ფათური, ყველაგან მიფათურა. აი უბრალოდ არ მინდა გახსენება და დეტალებში შესვლა. ეს არის ყოველად ამაზრზენი...”...თუ ვინმე შეურაცხყოფილია ამ ყველაფერში, ერთადერთი მე ვარ, სხვა არავინ“.

³⁸ ვ. კ.-სთან შეხვედრის დასაწყისში ვ. კ.-მ ჰკითხა განმცხადებელს, თუ რა მოიფიქრა. აღნიშნულზე ლ. გ.-მ უპასუხა, რომ მოფიქრებული არაფერი აქვს, მისი აზრით რაღაცებს ძალიან არასერიოზულად უდგებიან კომპანიაში.

³⁹ ლ. გ.-მ მ. ჩ.-ს შეხვედრაზე განუმარტა სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი და უთხრა, რომ სამუშაო გარემო, რომელიც 10 მარტს მომხდარის შემდეგ იყო შექმნილი მისთვის მიუღებელი იყო: *„მე ის ვიცი, რომ მე სხვანაირი გზა მაქვს არჩეული და სხვა მიზნები მაქვს, სხვა გეგმები მაქვს და აესე არ ვაპირებ გაგრძელებას, და ეგ ჩემს გეგმებში არ შედის, შესაბამისად...“.*

განხორციელების ვარაუდს. ამასთან, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა სამსახურიდან წასვლის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება მ. ჩ.-ს ასევე კომპანიის სხვა პარტნიორებს⁴⁰ გააცნო, ისინი ლ. გ.-ს გადარწმუნებას ცდილობდნენ. მ. ჩ.-მ განმცხადებელს ასევე უთხრა, რომ *თვითონ წავიდოდა, ოღონდ ლ. გ. არ წასულიყო სამსახურიდან*.⁴¹ სახალხო დამცველის შეფასებით, გაუგებარია, რატომ უნდა ცდილობდნენ კომპანიის პარტნიორები/დირექტორები განმცხადებლის დარწმუნებას ეთანამშრომლა კომპანიასთან, თუკი მისი ქცევა თუკი მისი ქცევა კლიენტებთან კომპანიისთვის მიუღებელი იყო და საყვედურის საფუძველი გახდა.

6. სახალხო დამცველი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს მოპასუხის მითითებაზე, რომ თუ განმცხადებელი ოფისში დამლაგებლის მისვლის დროს თავს ნამდვილად ცუდად გრძნობდა, ოფისს დატოვებდა.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ, სექსუალური შევიწროების დროს, განსაკუთრებით, როდესაც მსხვერპლი და შემავიწროებელი სუბორდინირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მსხვერპლი ხშირად იძულებულია, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს და განახორციელოს მისთვის არასასურველი ქცევა, რათა თავიდან აიცილოს, მისი აღქმით მოსალოდნელი უფრო ცუდი შედეგები. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაქმებული განსაკუთრებით დაუცველია, როდესაც ის ახალგაზრდა ან დროებითი თანამშრომელია.⁴² შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მოცემულობა, განმცხადებლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ამცირებდა და მას კიდევ უფრო მოწყვლადს ხდიდა. ამასთან, ლ. გ.-მ განმარტა, რომ როდესაც დამლაგებელი მივიდა ოფისში, მ. ჩ.-ს დაჟინებულ თხოვნას ალკოჰოლის მიღებაზე ჯერ კიდევ ვერ აღიქვამდა შევიწროებად ან/და მოსალოდნელი სექსუალური შევიწროების წინაპირობად.

⁴⁰ შეხვედრის დროს ლ. გ.-მ უთხრა ლ. გ.-ს „...ის მიდგომა რომ ამ კომპანიასთან არ ვითანამშრომლებ, არის ჩემი შეურაცხყოფაც და ვ. გ.-ს [იგულისხმება ვ. კ.] შეურაცხყოფაც, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიძახი, რომ სახე არ არის ის ვისზეც შენ ეხლა საუბრობ. ...რაც შენგან მოვისმინეთ, ამას ექნება სხვა რეაგირებები, მაგრამ ამას იგრძნობ შენ, თუ ვერ იგრძნობ, ამას არ აქვს მნიშვნელობა. შენი პიროვნება ჩვენში კიდევ ერთხელ ვიძახი ამაღლდა, შენ გადაწყვეტილება შეგიძლია მიიღო ისე როგორც გინდა...“ ვ. კ.: „...ზომების გატარება დაკავშირებული იქნება შენს სამომავლო ურთიერთობასთან.., ჩვენ მაინც გავატარებთ მაგ ზომებს. მაგრამ მე მაინტერესებს შენი ბედი, დავუშვათ გავატარეთ ეგ ზომები, შენ აპირებ დარჩენას ჩვენთან?...“

⁴¹ ლ. გ.-ს და მ. ჩ.-ს შეხვედრის აუდიო ჩანაწერი, მ. ჩ.: „...გულწრფელად გეტყვი, მე შენ ერთ რაღაცას, არასოდეს მიფიქრია შენზე ცუდი და არც იმ დღის შემდეგ ვიფიქრებ, მართლა, სუფთა ადამიანურად გეტყვი ერთ რაღაცას და რა ვიცი ჩემთვის ცოტა შოკისმომგვრელი რა არის იცი, რომ შენ ამის გამო თუ აპირებ და მიდიხარ ამ კომპანიიდან და ესაა მიზეზი, მაშინ მე წავალ ამ კომპანიიდან მირჩევნია “ .

⁴² Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment*, 7. *Burden of Proof, Evidentiary Issues*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftnref155

2.3. აუდიო ჩანაწერების დასაშვებობა

საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე კანონდარღვევით მოპოვებული (ფარული აუდიო ჩანაწერი) მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე. უზენაესი სასამართლოს განმარტებით:

„კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.“⁴³

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.⁴⁴

შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს, რომ განმცხადებელთან მიმართებით, კომპანიის დირექტორი - მ. ჩ. ძალაუფლების ბერკეტების მქონე პირს წარმოადგენს, რომელსაც შეეძლო სამსახურებრივი ზეგავლენის გამოყენებით დამამცირებელი სამუშაო გარემო შეექმნა განმცხადებლებისთვის. ამასთან, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონვის გზით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი ლ. გ.-ს მიერ მის მიმართ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერები. როგორც სახალხო დამცველს ეცნობა, 2019 წლის 19 ივნისს

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ.№ას-1155-1101-2014)

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ.№ას-1155-1101-2014)

და 7 აგვისტოს, საქმეში არსებულ აუდიო ჩანაწერებთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარემ დანიშნა ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.⁴⁵

აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებულ აუდიო ჩანაწერებთან დაკავშირებით, ჩატარებულია ყველა სახის ექსპერტიზა, რომელიც, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სახალხო დამცველმა საჭიროდ მიიჩნია. ამასთან, მოპასუხის მიერ საქმის განხილვის ამ ეტაპზე ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლოა, საქმისწარმოების გაჭიანურებას ემსახურებოდეს.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი განმცხადებელის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, 2018 წლის 10 მარტს მ. ჩ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის სიტყვიერ და ფიზიკურ ქმედებებს, რის გამოც განმცხადებელს შეექმნა დამამცირებელი სამუშაო გარემო და იძულებული გახდა სამსახური დაეტოვებინა. ლ. გ.-ს მიერ სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები ამყარებდა მის მიერ განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წარმოშობილი ვარაუდი გაექარწყლებინა.

შესაბამისად, საქმეში არსებული მასალების, მხარეთა გამოკითხვისა და სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებების, მათ შორის, მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაციის და აუდიო ჩანაწერების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ **მ. ჩ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა პროფესიული მდგომარეობის გამოყენებით, ლ. გ.-ს მიმართ არასასურველი, სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევას, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო.**

⁴⁵ 2019 წლის 19 ივნისს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წინაშე დაისვა ორი კითხვა: დ. დ.-სთან შეხვედრის აუდიო ჩანაწერზე ფონოგრამის ტექსტის დადგენა/გაშიფვრა და აუდიო ჩანაწერების შექმნის თარიღთან დაკავშირებით ექსპერტის განმარტება. სახალხო დამცველის აპარატში მოპასუხემ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა ერთ-ერთ კითხვასთან დაკავშირებით, კერძოდ, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში აღნიშნულია, რომ Apple-ის წარმოების ტელეფონში შესაბამისი მექანიკური მანიპულაციის შედეგად თუ განხორციელდება მიმდინარე რეალური დროის (წელი ან/და თვე ან/და რიცხვი ან/და საათი) შეცვლა და დაფიქსირდება სხვა თარიღი ან/და საათი, ხოლო ამის შემდგომ შეცვლილი დროით ამავე ტელეფონით განხორციელდება ნებისმიერი ლოკალური ტიპის ფაილის შექმნა (მათ შორის აუდიო ფაილის), ფაილს მიენიჭება ტელეფონში ფიქსირებული - მექანიკური მანიპულაციის შედეგად შეცვლილი წელი ან/და თვე ან/და რიცხვი ან/და საათი. აუდიო ჩანაწერებთან დაკავშირებით, მ. ჩ.-ს მიერ ექსპერტიზა დაინიშნა ასევე 2019 წლის 7 აგვისტოს. ექსპერტიზის წინაშე დაისვა ორი კითხვა: მობილური ტელეფონით აუდიო ჩანაწერის გაკეთებისას ტელეფონი ავტომატურად მიაჩვენებს თუ არა აუდიო ფაილებს სახელწოდებებს, ასევე, მობილური ტელეფონი თავისი აუდიო ჩანაწერი მოწყობილობით მექანიკური ჩარევის გარეშე აუდიო ჩანაწერს ახორციელებს თუ არა mp3 ფორმატში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართავს

- **მ. ჩ.-ს**, რომ *მომავალში, პროფესიულ თუ სხვა სახის ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხყოფელი, დამამცირებელი მათი ღირსებისთვის შეუსაბამო სამუშაო გარემო;*
- **კომპანიას**, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში, უზრუნველყოს მათი შესრულება და გაატაროს ღონისძიებები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,